

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012/2013 სასწავლო წელს დოქტორანტურაში მიღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის № 697 დადგენილებისა და 2012 წლის 31 ოქტომბრის №139 ბრძანების თანახმად:

- დოქტორანტურაში სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2012 წლის 2 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე;
- გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან შედგება 2012 წლის 15-16 ნოემბერს 12 საათიდან.
- დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდება სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად;
- ჩარიცხვის პროცესი დასრულდება 2012 წლის 17 ნოემბერს

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარსადგენი საბუთების ნუსხა

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით, აგრეთვე შემდეგი საბუთები:

1. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
2. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და მისი ასლი;
3. პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
4. ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3 x 4 სმ;
5. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის).

საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ.

განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში (CV) სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივების მითითებისას, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მასალების დედნები და მათი ასლები.

საბუთების პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს;

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ ვიზირებულ განცხადებას დანარჩენ საბუთებთან ერთად აბარებს სტუ-ს კანცელარიას.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან .

მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასება;
- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა სტუ-სთან უნდა გააფორმოს საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები და ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) საბანკო დღეში უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს ერთი წლის სწავლის საფასურის - 2250 ლარის მინიმუმ ერთი მეოთხედი. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია.